საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ეროვნული სატყეო სააგენტო

გულუას ქ.№6, 0114, ქ. თბილისი, საქართველო, ტელ: (+995 32) 2753959

N 11/6474

12/09/2022

6474-11-2-202209121542

სს "RMG Copper"-ს

ქ. თბილისი, მ. ალექსიძის ქ. N1 მე-3 შესახვევი

გიგზავნით, „სს "RMG Copper"- ისთვის სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს მართვას დაქვემდებარებულ სახელმწიფო ტყეში, ქვემო ქართლის სატყეო სამსახურის, ბოლნისიდმანისის სატყეო უბანში, 129850 კვ.მ. მიწის ფართობზე განსაკუთრებული დანიშნულებით ტყით სპეციალური სარგებლობის უფლების მინიჭების შესახებ" სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს უფროსის 2022 წლის 9 სექტემბრის N2089/ს ბრძანებას.

გთხოვთ, ამავე ბრძანებით განსაზღვრული საკომპენსაციო საფასურის ჩარიცხვა განახორციელოთ შემდეგ საბანკო რეკვიზიტებზე: მიმღების ბანკი-სახელმწიფო ხაზინა, მიმღების დასახელება-ხაზინის ერთიანი ანგარიში, ბანკის კოდი -TRESGE22, სახაზინო კოდი (ანგარიში) N707367521 და აღნიშნული გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი წარმოადგინოთ სააგენტოში.

საქართველოს მთავრობის 2021 წლის 18 მაისის N221 დადგენილებით დამტკიცებული „ტყითსარგებლობის წესის შესახებ" დებულების 64-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, - განსაკუთრებული დანიშნულებით ტყით სპეციალური სარგებლობის უფლება უნდა დაარეგისტრიროთ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში.

ს.ს. RMG Copper
თბილისი
№ 91.578
"15" 09 2022
ფურც. 5

ამასთანავე, ტყითმოსარგებლე უფლებამოსილია - ბრძანებით განსაზღვრული საქმიანობა განახორციელოს, მხოლოდ ზემოაღნიშნული საკომპენსაციო საფასურის გადახდის, ფართობის მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების და განსაკუთრებული დანიშნულებით ტყით სპეციალური სარგებლობის უფლების დარეგისტრირების შემდეგ.

დანართი: ელ. სახით.

პატივისცემით,

ზურიკო ყელიხაშვილი

დეპარტამენტის უფროსი